

ლელო

1970 წ.
№ 188
(4182)
24 სექტემბერი.
საბჭოთადასო.
ფასი 3 კაპ.

საპ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირებთან რედაქციური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1984 წლის
18 აპრილიდან

საბჭოთა კავშირი

სოფია, 23 სექტემბერი. ბულგარეთში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში ფრენბურთულმა გაეგებმა გუნდმა III ტურის მატჩები გამარტეს, ქალებმა კი I ტურის შეხვედრები ჩაატარეს.

I ქვეჯგუფის ვაჟთა გუნდების ტურნირი სოფიაში მიმდინარეობს. III ტურის მატჩები ასე დათავრდა: ბულგარეთი — ირანი 3:0, იუგოსლავია — ისრაელი 3:0, ბელგია — იტალია 3:1. სატურნირო ცხრილს აშკარად ლიდობენ ბულგარეთისა და იუგოსლავიის გუნდები, რომელთაც 3-3 გამარჯვება აქვთ მოპოვებული. შემდეგ მოდის ბელგია (2 გამარჯვება), ისრაელი (1), ირანი და იტალია (0).

II ქვეჯგუფი. იამბოლი. ჩეხოსლოვაკია — ფინეთი 3:0, პოლონეთი — აშშ 3:1, უნგრეთი — ბრაზილია 3:1. სატურნირო მდგომარეობა: ჩეხოსლოვაკია და პოლონეთი (3-3 მოგება), უნგრეთი (2), აშშ (1), ბრაზილია და ფინეთი (0).

III ქვეჯგუფი. ხასკოვო. იაპონია — ვენესუელა 3:0, საფრანგეთი — პოლანდია 3:2, რუმინეთი — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა 3:1. სატურნირო მდგომარეობა: იაპონია (3), პოლანდია, საფრანგეთი, რუმინეთი (2-2), ვენესუელა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა (0).

IV ქვეჯგუფი. კირჯალი. სსრ კავშირის ფრენბურთულმა პირველი მატჩის სიმწარე იწვევს: მათ გდრ-ის ნაკრებთან შეხვედრაში დაყარეს ფარსხალი — 1:3 (7:15, 15:12, 8:15, 10:15). განმეორდა იგივე ამბავი, რაც ერთი წლის წინათ მოხდა (მაშინაც მსოფლიო თასის გათამაშების დროს, საბჭოთა ფრენბურთულმა გერმანელებთან წააგეს მატჩი).

კუბელებმა დაამარცხეს გვინეის ნაკრები — 3:0, ტუნისელებმა — მონღოლები — 3:2. 3 გამარჯვებით ერთობლივი ლიდერია გდრ-ის ნაკრები. 2-2 მატჩი აქვთ მოგებული სსრ კავშირისა და კუბის გუნდებს, თითო — ტუნისისა და მონღოლეთის კოლექტივებს. გვინეის ნაკრებს ჯერ შეხვედრა არ მოუგია.

ქალთა გუნდებმა წინასწარი ტურნირები დაიწყეს სოფიაში, სევილიეში, ვარნაში და ბურგასში. საბჭოთა ფრენბურთელები ვარნაში გამოდიან პირველ გამარჯვებას მათ პერუს ნაკრებთან მიღწეის — 3:0 (15:9, 15:5, 15:2). უნგრელებმა დაამარცხეს ბრაზილიელები — 3:2.

დანარჩენ ქალაქებში პირველი შეხვედრები ასე დათავრდა: სევილიეში — ბულგარეთი — კუბა 3:0, გდრ — მონღოლეთი 3:1; სოფია. იაპონია — ჩეხოსლოვაკია 3:0, მექსიკა — პოლანდია 3:0; ბურგასი. პოლონეთი — აშშ 3:2, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა — რუმინეთი 3:0.

კოსტა-რიკა

◆ მიუნხენში (გერმ.) 23 სექტემბერი. ადგილობრივი „მორსი-ის“ ფეხბურთელები პირველი გავიდნენ ვერბოს ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალში: თავიანთ მინდორზე გამართულ საპასუხო მატჩში მათ ანგარიშით 10:0 დაამარცხეს კვიროსის „ეპა“ (პირველი თამაშიც გერმანელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 6:0).

კოსტა-რიკა

◆ ციურიხი, 28 სექტემბერი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალისტების სია „გახსნეს“ ადგილობრივი „ციურიხის“ ფეხბურთელებმა, რომლებმაც მეორე მატჩიც მოუგეს ისლანდიის „აკურეირის“ — 7:0 (პირველი მატჩი — 7:1).

◆ ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. სამი თვის შემდეგ მწვანე მინდორზე კვლავ შეხვედრენ ერთმანეთს სახელგანთქმული ფეხბურთელები — ბრაზილიელი პულე და ინგლისელი მური. „ფესბურთის მეფეს“, რომელიც თავისი მშობლიური კლუბის „სანტოსის“ სახელს იცავდა, მური და პულე მეორეობდნენ. და მაინც, პულემ „ვესტ ჰემთან“ შეხვედრის პირველ ტაიმში 2 გოლი გაიტანა. ამ საჩვენებელი მატჩის ანგარიშია 2:2. ორივე საპასუხო ბურთი ბესტმა გაიტანა. ერთ მომენტში 200-მდე მაყურებელი მინდორზე გაიტარა — ისინი პულეს მიმართ ინგლისელი ფეხბურთელების უნებობამ აღაშფოთა.



63 მთავრული გამარჯვების პიკე

ამ დღეებში შინ — მოსკოვში, ლენინგრადში, ჩელიაბინსკში, ტომსკში, დნეპროპეტროვსკში, ფრუნზეში, ალმა-ათაში და სხვა ქალაქებში დაბრუნდნენ საბჭოთა მთავრელები, რომელთაც დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ უმაგალითო ასვლა მოაწყვეს გამარჯვების პიკეზე.
ცენტრალური ტიან-შანი... უმაღლესი მწვერვალებისა და გვიანტური ყინვარების სამეფო. აქაა აღმართული ყინულის ჯაკუზში გახვეული გამარჯვების პიკი და ხან-თენგი — პლანეტის ყველაზე ჩრდილო შეიდათასიანი მწვერვალები. ხშირი ზვავებისა და ქარიშხლის გამო ეს მწვერვალები მისასვლელად სახიფათო და მრისხანეა.
გამარჯვების პიკე პირველი ასვლა 1938 წელს მოაწყვეს მთავრელებმა გუტმანმა, ივანოვმა, სიდორენკომ. მას შემდეგ მწვერვალზე სულ 48 კაცი ავიდა,

თუმცა თითქმის ყოველწლიურად მიტოვდნენ იერიში მთავრელებსა ექსპედიციებს. წლებს საბჭოთა ალპინისტებმა არნახულ წარმატებას მიაღწიეს: აგვისტოს განმავლობაში მწვერვალზე იყო 63 სპორტსმენი, რომლებიც ქვეყნის პირველობაში მონაწილეობდნენ „მურვესტნიის“, „სპარტაკისა“ და „ავანგარდის“ სახელით. ეს მოწმობს, რომ საბჭოთა ალპინიზმი დიდი წარმატებით ხვდება თავის 50 წლისთავს.
სურათზე: მთავრელები ტიან-შანის უდიდესი ყინვარის ინილჩიკის სათავეში. შორს ღრუბლებში გამარჯვების პიკი ჩანს; ალმაათელი ექიმი ა. ოსიპოვი მთავრელებს ამოწმებს; ყინულის კედელზე ადის ხარკოველი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ა. მარტინოვი.
5. ბოუუკოვის ფოტო (საკდესი).

რეკორდი ოკეანეში „ჩაიძირა“

ქმერიძის შეერთებული შტატების საპირო დაცვის მავრული ნავები ატლანტის ოკეანის იმ წერტილისკენ მიიჩქარა, სადაც ტალღებზე ქანაობს საპირო ბურთის გონდოლა სამი მგზავრით. საფრთხე ემუქრებათ ამერიკელ ბიზნესმენს, 28 წლის რ. ანდერსონს, მის ტოლ ინგლისელ ინჟინერს მ. ბრაიტონსა და ანდერსონის მეუღლეს, 28 წლის მახაიობს პ. ბრაუნს. მათ გადაწყვეტილი მქონდათ მსოფლიო რეკორდი დაემყარებინათ სამეორე ბურთით ფრენაში და პაერის ნაკადებზე ემოგზაურათ ამერიკიდან ევროპამდე.
ენტოუსისტები დიდის ამბით გააცვიფრეს. სამეურულს ბედნიერი მგზავრობა უსურვა რამდენიმე ათასმა ადამიანმა. ანდერსონმა რეპორტიორებს განუცხადა, რომ, მისი აზრით, მსოფლიო ძალიან ღარიბია თავადადავლებით და ასეთი მოგზაურობაც იმიტომ აირჩია. ბრაუნი მომხიბვლელი ლომილით აჯადოვებდა ყველას. ფიბერგლასის გონდოლის ბორტზე შამანურის ბოთლი დაამსხვრიეს...
და აი, უკვე ერთი დღე-ღამის შემდეგ გონდოლა ოკეანის ტალღებზე მიცურავდა ნიუფაუნს (საკდესი).

საქონი საქონი

◆ ანაბრა, 23 სექტემბერი. საბჭოთა რაპირისტი ქალები მოფარაკავთა მსოფლიო ჩემპიონატის გუნდური ასპარეზობის ნახევარფინალში გავიდნენ. თავიანთ ჯგუფში მათ დაამარცხეს აშშ-ს (12:4), იტალიისა (9:1) და ავსტრიის (15:1) გუნდები. ნახევარფინალში სსრ კავშირის კოლექტივი უნგრეთ-პოლონეთის მატჩში გამარჯვებულს შეხვედრა. ნახევარფინალში გავიდნენ რუმინელებიც, თუმცა მათი გზა საკმაოდ რთული იყო. რუმინეთის კოლექტივი დამარჯვებულად მოუვო გფრ-ის ნაკრებს, უნგრელებთან შეხვედრა კი ფრედ დამთავრა (8:8) და წარმატებას მიაღწია მსოფლიო მიღებული ჩნულებების ნაკლები რიცხვის წყალობით. ფინალის საგზურისთვის ბრძოლაში რუმინელები იტალია — საფრანგეთის მატჩში გამარჯვებულს შეხვედებიან.

შპმესად, ვინაე წინა სპარტაკიადაში

რეპრეზენტაციის წევრები ნიბოსონბაში გულმოდგინედ ემზადებენ საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის.

წლებადედი სეზონში გარკვეული წარმატებებიც გვაქვს. მაგალითად, გუნდის ვეტერანმა, სპორტმწოდის კლასის სპორტის ოსტატმა ა. მატკაევამ სპორტის ოსტატ ვ. კრატასი-უკთან ერთად ორადგილიანი ბაილი-გობით რბოლაში სსრ კავშირის ცენტრალურ ნონის ჩემპიონობა მოიპოვა. სტუმრული საკავშირო უნივერსიტეტში თავი ისახელეს კანონისტებმა თ. ჩიტაიამ და ზ. თელალონიამ. მათ ოქროს მედალები დაი-სრულეს, ხოლო ვ. მკვარცხელია ვერცხლის 3 მედალი მოიპოვა.

მაგრამ მინც უნდა ვიხსენებო: ჩვენი ნიბოსონბაში ამ ბოლო ორი წლის მანძილზე თვალსაჩინო წარ-მატებებს ვერ აღწევდნენ. აი, სწორედ ამას ვეძებთ ვისაუბროთ.

ყველა სპარტაკიადში საქარ-თვლის გუნდის წევრთა უმრავლესობას პერიფერიულ ადგილებზე სპორტსტრუქტურა შეადგენდნენ. მა-გრამ, როგორც ჩანს, ბევრ მოწინა-ვე რაიონში, სადაც ბაილირებთან და კანობით ნიბოსონბა დაინერ-ვილი, ამ ბოლო ხანს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ბაილის ეთ-თილმოწყობას, ინვესტიციის შეიქ-მნას. ირკვევა, რომ სპორტის მესვე-ურებს ამისთვის საჭირო თანხები არც გააჩნიათ.

ხარვეზები თვით გუნდშიც გვაქვს. ჩემი აზრით, ყველაზე მთა-ვარიან წევრებს წევრთა სუსტი ფი-ზიკური მომზადება. ეს, სხვათა შორის, განსაკუთრებით გამოიქვა-ვნიდა საქართველოს თანხე ამას წინათ გამართულ გუნდურ შეჯი-ბებაშიც. ზომის პროგრამაში ფი-ზიკური მომზადების ნორმატივთა ჩაბარება იყო შეტანილი. ბევრს ნიბოსონბაში მოცემულ ნორმატივებ-ში ვერ წივებოდა.

ფიქრობ, ნიბოსონბა სუსტ ფი-ზიკურ მომზადებაში მწვრთნელ-ებიც ვართ დამნაშავე. როგორც ჩანს, ამ უმნიშვნელოვანეს ფაქ-ტორს ძალიან ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ.

შეინიშნება, რომ შეჯიბრებებში უარესად გამოდიან ჩვენი მებაილარე ქალები — ისინი ტრადიციულად ნაკრების სუსტ რგოლს წარმოად-გენენ. ამას წინათ ფედერაციამ იმ-სჯელა ამ საკითხზე. გადაწყვიდა ნი-ბოსონბაში შეიქმნათ რამდენიმე ნი-ჭიერი, პერსპექტიული გუნდო. მკვეთრად გაძლიერდება სასწავლო პროცესი, უფრო შინაარსიანი და მრავალფეროვანი გახდება ვარჯი-შები.

წინა სპარტაკიადში საქართვე-ლოს ნიბოსონბა VI ადგილი და-იკავეს. 1971 წლის სპარტაკიადში უკეთ შეგვიძლია გამოსვლა. ამის საწინდარია ნიბოსონბაში უკეთესი მომზადება და გამარჯვებისკენ ლტოლვა. მუყაით ვარჯიშთან ერ-

თად აუცილებელია შეჯიბრებებში სწორი მონაწილეობა.

ორი კვირის შემდეგ დონეცში სსრ კავშირის პირად-გუნდური პი-რველობის ალაში ადრიალდებამ სტარტზე გამოვლენ სპორტსაზო-გადობათა და ორგანიზაციების გუნდები. ბრძოლაში საქართველოს ბევრი ნიბოსონბა ჩაებმება. აქ ისი-ნი კიდევ ერთხელ მონაწილეობენ თა-ვიანთ ძალასა და უნარს.

თ. ჯარდანი,
ნიბოსონბა რესპუბლიკური გუნდის მწვრთნელი.



საპორტინო სარეზერვო

პრასლერს, კაც ერთ დიდ ხანსაში ჩემპიონატი ერთ რე-პრესიის კალთბურთულ ქალების ევროპის XII ჩემპიონატი ჰქონდათ. რით შეიძლება ამის ახსნა, სხვა გუნდების სისუსტით თუ გამარჯვებუ-ლის რაიმე განსაკუთრებული, აქამდე უცნობი ფაქტებით?

ერთი რამ ცხადია: ევროპულ კალთბურთში ძალთა ერთგვარი გადა-ნაცვლება მოხდა. მოწინავე პოზიციები ნაწილობრივ დათმეს იუგოსლავი-ამ და ბულგარეთმა. შესამჩნევად დასუსტდნენ პოლონეთის, რუმინე-თისა და, განსაკუთრებით უნგრეთის გუნდები. სამაგიეროდ, სრულიად მოულოდნელად, დიდერთა რიგებში გადინაცვლეს საფრანგეთის კალთ-ბურთულებმა. რამდენად კანონზომიერია ეს ცვლილებები; დროთა გან-მავლობაში შემოწმდება, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ფრანგების წარ-მატება შემთხვევითი არ იყო.

ამ აზრს მხოლოდ ერთი რამ უნდა დაუმატოთ: ჩემპიონატის მეორე პრიზორმა ფინალური მატჩი 81 ქულის სხვაობით წააგო. ასეთი რამ ტურნირის გადამწყვეტ მატჩში არასდროს მომხდარა, მაგრამ, ვფიქრობთ, მარცხს უფრო ფსიქოლოგიური საფუძველი ჰქონდა, ვიდრე წინადა სპორტული.

რასა გამოიხატება იგი? ფრანგებმა წინასწარ მატჩებში დაამარცხეს ძირითადი მეტოქეები — პოლონეთის, პოლონეთისა და უნგრეთის გუნ-დები (იტალიელები იმდენად სუსტად თამაშობდნენ, რომ სათვალავში არ ვიღებთ) და ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. ეს იყო საფრანგეთის ნაკრების პრიორამა-მინიმუმი. გუნდს ჯერ მარტო ამ შედეგით შეეძლო ემაჟა.

შემდეგ აღმავლობის გზაზე მყოფმა კოლექტივმა დაამარცხა ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი — ბულგარეთი. ეს უკვე შეგვეგონათ წარმატება იყო, რომელმაც გუნდს ვერცხლის მედალები მოუტანა. ცხადია, ფრანგებს შეტზე არც უფიქრობთ და ფინალური მატჩის დასაწყისშივე შედს შე-რიგებულად იყვნენ.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის ნაკრებს, იგი, უბრალოდ, რამდენიმე თვით მალდა იდგა მეტოქეებზე. ისეთი შთაბეჭდილება შეგვიქმნა, რომ ევროპის XII ჩემპიონის თამაშად შეუძლებლად დასაბრუნებლად ვაშ-ულო დონის გუნდს. სსრ კავშირის ნაკრები ასე ძლიერი არასოდეს ყოფილა. აი, სწორედ ეს არის მისი ამასწინანდელი წარმატების თავი და თავი. სხვა ახსნა, სხვა ხაილუმობა ამ აბსოლუტურ უპირატესო-ბას არა აქვს. დანარჩენი გუნდები კი ან ერთ ადგილზე გაიყინენ, ან ოდ-ნავ ჩამორჩნენ ადრინდელ დონეს.

ნათქვამის საილუსტრაციოდ რამდენიმე ციფრს მოვიყვანოთ. სსრ კავ-შირის ნაკრებმა პრიორ შეიძინა მეტოქეების კალთში „გაიტა-ნა“ 658 ქულა, თვითონ კი მხოლოდ 285 „მიიღო“. საბჭოთა გუნდს აქვს ქულების აბსოლუტურად საუკეთესო სხვაობა (+478), რაც იმას ნაშ-ნავს, რომ ყოველ მატჩს იგი საშუალოდ ასეთი ანგარიში იგებდა — 84:41. ტრაფარეტულად რომ ვთქვათ, ციფრები კომენტარს არ საჭი-როებენ.

ფრანგებმა ვერცხლის მედალები „გატანეს“ და მიღებული ქულების პასიური ბალანსით მიადებს — 62 ქულა. ნახევარფინალისტა ოთხეულ-ში მათს თავდასხმელებს ყველაზე მოკრძალებული მაჩვენებლები აქვთ (57) და ყოველი მატჩის არითმეტიკული საშუალოც — უარყოფითი (57:66). მაგრამ ეს უკვე სტატისტიკურ პარადოქსსა სდევნა, ვინაიდან ამ მაჩვენებელს არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე პრაქტიკული მნიშვნელო-ბა (თუნდაც იმიტომ, რომ სსრ კავშირის გუნდთან ერთადერთმა წაგებამ მას საოცრად გაუფუჭა ბალანსი).

იუგოსლავიასა და ბულგარეთს ჩემპიონატის შემდეგ დადებითი ბა-ლანსი აღმოაჩნდათ (პირველს +51, მეორეს +66). მათ არც ისე ცუდი საშუალო მაჩვენებელი აქვთ (იუგოსლავია ყოველ მატჩს იგებდა ანგარი-შით 81:74, ხოლო ბულგარეთი — 76:66), მაგრამ ერთმაც და მეორემაც სპეციალურ შეხვედრებში წააგო და, ცხადია, ფინალისტა შორის ვერც ერთი ვერ მოხვდა.

საერთოდ კი ევროპის XII ჩემპიონატის შედეგებმა ცხადყო, რომ ავ-რესიულობის ტენდენცია ყველა გუნდში შეინახოდა, რომ თავდასხმე-ლები წლებულს უფრო მწვავედ, აზრიანად და, რაც მთავარია, შედეგაი-ნად უტყვევდნენ. ერთი სიტყვით, ევროპის კალთბურთელთა ბოლო ფო-რუმმა ხაზი გაუსვა თავდასხმის უპირატესობას და ცვათავნა შედეგობა.

რამდენიმე სიტყვა ჩემპიონებზე. როტერდამში ყველაზე საპატიო იუბილარად თავს აღბათ მოსკოველი ლ. ზაზარევიჩი გრძობდა. საბჭოთა გუნდის ვეტერანმა, რომელიც შინ თავის კოლექტივთან („სტრამი ოლო-ტან“) ერთად მონაგრებულა საპატიო ტიტულებს, როტერდამში ევ-როპის ჩემპიონის ოქროს მეხუთე მედალი მიიღო. სამწერ უნდა შედ-გან-ხდა საპატიო ჭილდოს მფლობელი მოსკოვის დინამოელი გ. კორმინ-ია, ორჯერ — უ. სემიონოვა (რიგის ტიტ) და ლ. შევიცოვა (სვერდლო-ვისის „ურალმაში“).

საბჭოთა გუნდს სხვა იუბილარიც ჰყავს. ეს არის მოსკოვის დინამო-ელი ტ. კაბაევა, რომელიც 26 სექტემბერს უნდა დაქორწინდეს. ვერა-ფერს იტყვი, ოქროს მედალი კარგი საქორწინო საჩუქარი იქნება. იმისთვის, რომ შეიკეთდეს სრული წარმოდგენა შევექმნას მთელს ჩე-მპიონატზე, გთავაზობთ ჯგუფური ტურნირების ცხრილებს და გამარ-ჯვებულთა ოთხეულის საბოლოო სატურნირო მდგომარეობას.

სტატისტიკის მოყვარულთათვის

ჩემპიონატები, პრიზორები

ფრანგების საერთაშო-რის ფედერაციაში ამჟა-მად 112 ქვეყანა შედის. ფრენ-ბურთელმა ვაუებმა თავიანთი I მსოფლიო ჩემპიონატი 1949 წელს ჩაატარეს, ხოლო ქალებმა — 1952 წელს. ბულგარეთში მიმდინარე მსოფლიო პირვე-ლობა ვაუებისთვის რიგით მე-5-ედა, ქალებისთვის — მეექვ-სეა.

სსრ კავშირის ფრენბურთელ-მა ვაუებმა წინა ექვსივე ტურ-ნირში მიიღეს მონაწილეობა, ხოლო ქალებს ერთხელ (1967 წ.) არ უსაბარგეთო.

გაიცანით წინა მსოფლიო ჩემპიონატების პრიორთა ვი-ნაობა:

ქალები

მოსკოვი, 1952 წ.

1. სსრ კავშირი
2. პოლონეთი
3. ჩეხოსლოვაკია

პარიზი, 1956 წ.

1. სსრ კავშირი
2. რუმინეთი
3. პოლონეთი

რიო-დე-ჟანეირო, 1960 წ.

1. სსრ კავშირი
2. იაპონია
3. ჩეხოსლოვაკია

მოსკოვი, 1962 წ.

1. იაპონია
2. სსრ კავშირი
3. პოლონეთი

ტოკიო, 1967 წ.

1. იაპონია
2. აშშ
3. სამხრეთ კორეა

ვაშები

პრატა, 1949 წ.

1. სსრ კავშირი
2. ჩეხოსლოვაკია
3. ბულგარეთი

მოსკოვი, 1962 წ.

1. სსრ კავშირი
2. ჩეხოსლოვაკია
3. ბულგარეთი

პარიზი, 1956 წ.

1. ჩეხოსლოვაკია
2. რუმინეთი
3. სსრ კავშირი

რიო-დე-ჟანეირო, 1960 წ.

1. სსრ კავშირი
2. ჩეხოსლოვაკია
3. რუმინეთი

მოსკოვი, 1962 წ.

1. სსრ კავშირი
2. ჩეხოსლოვაკია
3. რუმინეთი

პრატა, 1966 წ.

1. ჩეხოსლოვაკია
2. რუმინეთი
3. სსრ კავშირი

ვუაიგობრთ უიგაულტურას

ფიზიკურ ვარჯიშებს, ბუნების სიკეთეს — მუსს, წყალსა და ბარს აღამიანი ჯანმრთელობის გასაკა-ფებლად ძველთაგანვე იყენებდა. ჯერ კიდევ ანტიკური სამყაროს ისტორი-კოსებში ტაციტუსი და პლინუსი ცხადყო-ბის ცხოვრების ადრეობის მიუთითებდ-ნენ, რომ სვეთი ვაუაუების მიზნით იმ-დენ ხანს აბნავედბა ბავშვს ცოც-წყალში, სანამ არ მიაჩვევდა. უკვე დაავაუაგებული შვილი მამას დაუმტ-ცივებდა, რომ შეუძლია იცოცხლოს და ემრძოლოს მკაცრ სტიქიას.

მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები, რომლებსაც შეეხებოდა ჰქონდათ ფიზი-კური ვარჯიშის მნიშვნელობა, გატა-ცივებით მისდევდნენ მას. დიდი რუსი ფიზიოლოგი ი. პავლოვი წყლის პრო-ცედურებსა და მობრბობაში სედაცია შრომისუნარიანობის, სულიერი სიმშენ-ვის, დღევანდელის წყაროს და თვი-თონაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემ-დე არ იფიქრებდა სპორტს.

ფიზიკური ვარჯიში, წყლის პროცე-დურები, ფეხით სეირნობა დიდი ლე-ნინის ყოველდღიური მოთხოვნადა იყო.

ფიზიკურ ვარჯიშს დიდ მნიშვნელო-ბას ანიჭებს სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, ლენინური პრემიის ლაურეა-ტი, მოქანდაკე ვ. კოთონიკოვი, რომე-ლიც 96 წლის ასაკშიც მხედა და შემოქმედებით შრომას განაგრძობს. იგი ისახლება ძველი საბერძნეთის გენიალუ-რი მოაზროვნის არისტოტელეს ნათ-ქვამს: „აღამიანს ხე არაფერი არ ფი-ტავს, არაფერი არ პრღვივს ისე მის ჯანმრთელობას, როგორც ხანგრძლივი დროით ფიზიკური უმოქმედობა“. კო-თონიკოვი ამბობს: „თუ თქვენი ყოველ-დღიური ცხოვრება მოკლებულია ფი-ზიკური შრომის სიხარულს, გირჩევთ ადგილს მზესთან ერთად და ყოველ დი-ლას საბოტული ვარჯიშით შევადგა-თ. თანამედროვეობის უდიდესი მხატვა-რი და საზოგადო მოღვაწე, 90 წლის მღწველი პიკასო ყოველდღიურად რამდენიმე ათეულ სხვადასხვა ვარ-ჯიშს ასრულებს.

მაგალითების მოყვანა დაუსრულებ-ლად შეიძლება. დღეს, როცა განუწყ-ვრტივ მადლობა მივუხდობთ ტექნიკურ-ი დონე, ინერგება მექანიზაცია, წარ-მოების ავტომატიზაცია, როცა მეცნიერ-თა გამოაზარდებით მიიღი საშუალოს 99 პროცენტს მანქანებით სრულდება, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფი-ზიკური მუშაობის დანაკლისის საკითხს. ფიზიკური უმართობა ორგანიზმში მიიღე დარღვევებს იწვევს. ჩვენში ყველა პირობა შექმნილი აღმამიანის ჯანმრთელობისა და დღევანდელი სიცო-ცხლისთვის, თუ გონიერულად გამოვი-ყენებთ მათ. ხალხს ემასურება ათაო-მით სამკურნალო დაწესებულება კა-ლიფორნიის სამედიცინო პერსონალით და მძლავრი სამკურნალო საშუალებე-რით, ათასობით სპორტული ნაგებობა, მიწიანი, ტურისტული-გამაჯანსაღებე-ლი მანაჯი, რომელთა ყოველდღიური

გამტარუნარიანობა 20 მილიონ კაცს აღემატება.

და მინც ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან სხვადასხვა ჯურის სპეციალისტები, რომლებიც აღმხედალ უყურებენ ფიზიკურ ვარჯიშს. ზოგი-ერთი მდებარეობს ამჟამებს იმე-დებს, მაგრამ მედიკამენტებით მკურ-ნალობა სწორად უეფექტოა. მედიკამენ-ტი მოყვარეც არის და მტერიც. ზოგი ამბობს: ვიცი სპორტი სასარგებლო რამ არის, მაგრამ ვერ ვიცილი, ზოგიერთ სანდაზმულს კი ორი-სამი დღის ვარ-ჯიშით უნდა „გაბასლაგზრდავებ“. ბე-გრძნი თავისუფალ დროს ტანტუე ნებეო-რობას არჩევენ. ასეთ ადამიანებს უნდა მოევაგონოთ ცნობილი ფრანგი ექიმის ტოსოს სიტყვები: „მობრბობას, როგორც ასეთს, თავისი მოქმედებით შეუძლებ შეგვალის ყოველი საშუალება, მაგრამ მსოფლიოს ყველა საშუალოდ საშუა-ლება ვერ შეცვლის მობრბობის მოქმე-დებებს“.

შარშან „ნედელიანი“ (№ 52) გა-მოქვეყნდა გამოჩენილი საბჭოთა ქი-რურგის, ლენინური პრემიის ლაურეა-ტის, აკადემიკოს ნ. ამოსოვის საცნა-რი — „გული შენს ხელთაა“, რომელ-საც დიდი გამოძახილი ჰქონდა და თვით მეცნიერთა შორის გამოიწვია კამათი. მკურნალი ამომწურავ პასუხს იძლევა ყველა შეკითხვაზე, რომლებიც გულსისხლძარღვთა დაავადებასა და მკურნალობას შეეხებიან. გულთ ავად-მყოფის მკურნალობის დროს იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფიზიკურ-დატვირთვებს, რომელთა დონორებაც დამოკიდებულია პაციენტის ასაკსა და მდგომარეობაზე. ვარჯიშის ბევრ საშუ-ალებას შორის ამოსოვს ყველაზე ეფე-ქტიანად დაზიარებული რბენა მიჩა-რია.

ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის ბუნებრივი ფაქტორების გამოყენებას-თან ერთად მობრბობით აქტივობას, სიარულს, ფიზიკურ შრომას, ტანვარ-ჯიშს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გა-მოჩენილი ქართული მეცნიერი, აკადე-მიკოსი ვ. შლენტი. ეს შეხედულება გა-მითქმულია მის ასლასან გამოცემულ წიგნში — „სიცოცხლის ციკლი“.

„რბენამ ჯანმრთელობისთვის“ ფარ-თოდ მოიკიდა ფეხი როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ზოგიერთ ქვეყანა-ში სიბრბილის სპეციალური დღეც არის გამოცხადებული (მაგალითად, ბელგია-ში). ახლახან თბილისის „ლოკომოტი-ვის“ სტადიონზე ჩამოყალიბდა ჯგუფე-ბი სანძინესპორტათვის. საჭიროა მე-ბაძოთ ერთუზიანტებს და ყველა ქალა-ქში ჩამოყალიბდეს მსგავსი ჯგუფები. ამაში დიდი დასმარების გარეშა შეუ-ძლიათ ფიზიკულტურის კომიტეტებს და ჯანმრთელობის განყოფილებებს. მამ, ვუმეგობროთ ფიზიკურ კულტურას. ჯა-ნმრთელობის ამ ელექსირს, რომელიც ყველა ასაკშია სასარგებლო.

პ. ფიფია,
მწვრთნელი ძალოსნობა-ში.
ზუგდიდი.

რეზერვების ჯგუფი

სსრ კავშირი	თ. მ. წ.	აბ.	ქ.		
საზარანბათი	5	5	0	448—203	5
კოლონეთი	5	4	1	295—301	4
პოლონეთი	5	2	2	303—313	3
უნგრეთი	5	2	3	277—333	2
იტალია	5	1	4	268—307	1
	5	0	5	231—365	0

ლევაპარდისის ჯგუფი

სსრ კავშირი	თ. მ. წ.	აბ.	ქ.		
იუგოსლავია	5	5	0	400—318	5
ჩეხოსლოვაკია	5	4	1	443—336	4
რუმინეთი	5	3	2	392—313	3
ავსტრია	5	2	3	374—347	2
გერმანია	5	1	4	251—370	1
	5	0	5	287—463	0

I-IV ადგილები

სსრ კავშირი	თ. მ. წ.	აბ.	ქ.		
საზარანბათი	7	7	0	658—285	7
იუგოსლავია	7	5	2	397—459	5
ბულგარეთი	7	5	2	569—518	5
	7	5	2	530—464	5

6. გუგუზიძე.



სსრ კავშირის
პირველობა

სტატისტიკოსის
გლოსოტები

პირველ წრეში მსაჯებმა მინდვრიდან გააძევეს უმალესი ჩაუფინს მ მოთამაშე. აქედან 8 მოსკოვის ტორპედოელია. დროულენკოს („მსახიორი“), პაპელიშვილს (ორჯონიძის „სპარტაკი“), მასლოვს („ზენიტი“), მედიდს (კრევის „დინამო“) 2-2 გაფრთხილება აქვთ მიღებული. მესამე გაფრთხილების შემთხვევაში ისინი ერთ თამაშს გამოტოვებენ.

ბულ იქნა, 2 კარს აცდა. ყველაზე მეტი პენალტი (5) დაინიშნა მოსკოვის „ტორპედოს“ კარში. II-III ადგილებს „იუვენტი“ კრევის „დინამო“ და მოსკოვის „სპარტაკი“ — 4-4. „ზენიტმა“ და „ზარიაში“ 3-4-ჯერ შეასრულეს თერთმეტმეტრიანი დარტყმები, მოსკოვის „დინამომ“ და „სპარტაკმა“ 3-3-ჯერ. არც ერთი პენალტი არ დაინიშნულა მხოლოდ თბილისელთა და ტაშკენტელთა კარში. არც ერთი პენალტი არ დაურტყამთ „ზარიაში“ და „მსახიორს“.

ქუთაისის „ტორპედოსთვის“ მორიგი კალენდარული მატჩი მოსკოვის ადგილობრივ „დინამოსთან“ მე-800 იყო. 24 სექტემბერს თავიანთ მე-800 შეხვედრას გამართვეს მოსკოვის არმიელბი. ისინი ამ დღეს კიეველებს ზღვებინან.

ბ. ზაღვაშვილი.

მხოლოდ სამმა გუნდმა შეძლო მეტოქის მინდორზე დიდი ანგარიშით გამარჯვების მოპოვება: ცხკა-მ, მოსკოვის „დინამომ“ (ორივემ ტაშკენტში) და ორჯონიძის „სპარტაკმა“ (დონეცკში). „მსახიორმა“ მეორე წრეში 4 მატჩი წააგო და ყველა დიდი ანგარიშით.

სპორტული პიკეტიჟი

გამართა მორიგი ტურის შესვენებები.

„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 1:0. მსაჯი ა. კვერცხე (თბილისი).

„სამცხე“ (აწყური) — „მესხეთი“ (ახალციხე) 2:1. მსაჯი ო. ალავეცი (თბილისი).

პირველი ორმხრივი იერიშების შემდეგ ახალციხელმა გარამიამ მე-16 წუთზე უსტი დარტყმით ანგარიში გახსნა. „სამცხემ“ ეს გოლი გაქვიოტა ტაიმის დასასრულს (ქიქაძე). შემდგომში იმავე ქვიქაძემ მეორედ აიღო მეტოქის კარი.

„ბანგარო“ (ჩოხატაური) — „მშენებელი“ (ბორჯომი) 2:2. მსაჯი მ. ნადირაძე (რუსთავი).

პირველი 30 წუთის განმავლობაში ჩოსატურელები აქტიურად თამაშობდნენ და ცინცადის 2 სუტი დარტყმის შემდეგ თვალსაჩინოდ დაწინაურდნენ — 2:0. სტუმრები არ შეუშინდნენ ამ მარცხს, მინდომებით იმოქმედეს და გაათანაბრეს კიდევ ანგარიში (ბუგუბერიძე, ჩადუნელი).



პირველი 23 სექტემბერი. ბალახზე პოკეის I ვერთოული ჩემპონატის 11 ქვეჯგუფში სსრ კავშირის ნაკრებმა მხოლოდ IV ადგილი დაიკავა. ჯერ იგი დამარცხდა ამ თამაშის ფუტბელბლებთან — ინგლისელებთან (1:3), მერე მოუგო დანიელებს (1:0), წააგო პოლანდიელებთან (2:5), ბოლოს კი, სამშაბათს, ფრედ ითამაშა ავსტრიელებთან — 1:1. II ქვეჯგუფში ყველას აჯობა პოლანდიის ნაკრებმა (7 ქულა). II ადგილზეა ინგლისის გუნდი (6), III — ავსტრიის კოლექტივი (3. ბურთების შეფარდება — 3:5), V — დანიის ნაკრები (1). პოლანდიისა და ინგლისის გუნდებთან ერთად მეთხუთმედიანობაში გავიდნენ: I ქვეჯგუფიდან — ვფრ და პოლონეთი, II ქვეჯგუფიდან — საფრანგეთი და ესპანეთი, IV ქვეჯგუფიდან — მეგობრა. აქ მეორე მეთხუთმედიანობისტს გამოაგლენს ფინეთისა და შვეიცარიის გუნდების დამატებითი მატჩი. მეთხუთმედიანობისტსამა ამავე დროს 1972 წლის ოლიმპიადის სავსურები მოიპოვეს. 24 სექტემბერს საპოტო ნაკრები სანტოლო ტურნირში უელსის გუნდს ეთამაშება. ბალახზე პოკეის ვერთოული ფედერაციამ აქ გამართულ სსრმსაზე თავის ორგანიზაციის მიხედვით კავშირის, ფინეთის, მალტისა და იტალიის ფედერაციები კონტინენტის II ჩემპიონატს 1974 წლის ბისში გამართება ბარსელონაში.

„ფიქარი“ (წულუკიძე) — „მსიური“ (გალი) 2:2. მსაჯი ა. სინაოზოვი (თბილისი).

„ქართლი“ (გორის რაიონი) — „ისანი“ (თბილისი) 3:5. მსაჯი ნ. ამირჯანი (თბილისი).

თამაში დაიწყო „ისნის“ შეუნელებელი, სწრაფი იერიშებით. მასპინძლებმა ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა მეტოქის ამ მთავარ მტერს და ვეგე მე-12 წუთისთვის ანგარიში იყო 3:0 თბილისელთა სასარგებლოდ (გოციანიძე — 2, როსინსკი). მართალია, რეზინიშვილმა ტაიმის დასასრულს შეძლო 1 საპასუხო ბურთის გატანა, მაგრამ განაღდა თამაში და გოციანიძემ და ავარიანმა ისევ დააწინაურეს თავიანთი გუნდი — 5:1. მატჩის ხსნა უკვე შეუძლებელი იყო, თუმცა ბერიკაშვილმა და ბუნალაძემ კიდევ თითო ბურთი გაიტანეს თბილისელთა კარში.

ფოკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ინგური“ (ჭუგდიდი) 2:1. მსაჯი ნ. კონდახაშვილი (თბილისი).

„ციხკარი“ (ხიდალი) — „მალაროელი“ (კიათურა) 1:1. მსაჯი ე. ეჯიბია (თბილისი).

სიღნაღელ ფეხბურთელებს წარმატება მოუტანა მატჩის დასაწყისში, როცა თედევანმა მე-16 წუთზე შეძლო ანგარიშის გახსნა. მაგრამ გუნდმა ვერ შეძლო გამარჯვების შენარჩუნება. მორიანიჩიკომ ეს გოლი გაქვიოტა და „ციხკარს“ მრავალ იერიშს შესვენების შემდეგ ნაყოფი არ გამოუღია.

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „გოგანტი“ (ლაითური) 1:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

გათამაშების ლიდერი — „მეტალურგი“ აგებდა შეხვედრას და მხოლოდ ძალების სრული დაძაბვით შეძლო თავი დაეღწია მარცხისთვის.

„სალხინო“ (გეგეკორი) — „სინათლე“ (თბილისი) 2:3. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).

მატჩი ჩატარდა ძალიან სინტერესოდ, დაძაბულ ბრძოლაში. ანგარიში გახსნა თბილისელმა დევიდარიანმა, ხოლო ლორიამ კიდევ უფრო დაწინაურა თავისი გუნდი — 2:0.

მასპინძლები თავგამოდებით იბრძოდნენ მდგომარეობის სასწრაფოდ, თღობრივ საჯარიმო დარტყმით საბასუსო ბურთი გაიტანა, მაგრამ ამ მომენტში ლორიამ კიდევ ერთხელ შეძლო გეგეკორელთა კარის აღება. ამის შემდეგ „სინათლის“ კარში დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმა, რომელიც ზუსტად გამოიყენა ჩხეტიამ — 2:3. მატჩის ხსნა კი გეგეკორელებმა უკვე შეძლეს.

„ვარკეთილი“ (გარდაბანი) — ასკ (თბილისი) 1:0. მსაჯი ე. ძნელოძე (თბილისი).

არმიელთა სახერხული იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან კარგად ითამაშეს ვარკეთილის დაცვამ და მეკარეები მიმდინარეობა მატჩის ბოლო წუთი, როცა ფანცულაიამ გამარჯვება მოუტანა „ვარკეთილს“.

საუბარი შეტერანთში

უმახუროსი მოყვარულები კარგად იცნობენ თბილისის „დინამოს“ და სსრ კავშირის ნაკრების წევრს, შემდგომში მწვრთნელს, ქართული ფეხბურთის გამოჩენილ ვეტერანს გიორგი ანთაძეს, რომლის სახელთანაც მჭიდროდა დაკავშირებული თბილისის „დინამოს“ წარმატებები.

გ. ანთაძეს 50 წელი შეუსრულდა. გულშემატკივართა დიდი არმიის სახელით ვეტერანს დაბადების დღეს ვულოცავთ და ბედნიერ ცხოვრებას ვუსურვებთ.

ამას წინათ გ. ანთაძე „ლელოს“ რედაქციას ესტუმრა. ჩვენმა კორესპონდენტმა მას რამდენიმე შეკითხვით მიმართა. აი, ეს ინტერვიუც.

რა მდენ წელიწადს თამაშობდით ფეხბურთს?

— რაც ჩემი თავი მასსოვს, სულ მატარებდი. ისე კი, ორჯონიძელ გუნდებში, 1935-დან 1955 წლამდე.

რა მიღწევები გქონია?

— თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში ვიყავი სსრ კავშირის პირველობათა პრინციპი და თასის ფინალისტები. ვთამაშობდი სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში. პელისნიკის ოლიმპიურ თამაშების წინ დაგზავნილი ვიყავი თვით ოლიმპიადამდე არ გამოვსულვარ, მაგრამ მონაწილეობა მივიღე ჩემი გუნდის ოლიმპიადისწინა მატჩებში.

თქვენ ვითამაშობთ შუამარბად და ნახევარმცველად? ამ ორიდან რომელი ამოღო უფრო მოგწონდა?

— ასე ადვილად ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძნელია. ბავშვობაში, ფოთის გუნდებში, ნახევარმცველად ვთამაშობდი. შემდეგ სოსუმში, იჭარა „დინამოში“ მომიწია შუამარბად თამაში, მაგრამ ეს იყო იშვიათი ადგილის შეცვლა, ვინაიდან ამას გუნდის ინტერესები მოითხოვდა. სოსუმელებს მაშინ კარგი პატივები ჰქონდათ და სწორედ შუამარბში სწირდებოდით. მაშინ ცენტრალურ სამეულს შევადგენდი დოლობერიძე, მე და იოლიანი. თბილისის „დინამოში“ ჩემი მოსვლა დაემთხვა იმ პერიოდს, როცა გუნდიდან წავიდნენ ან ცილიდინი პირველხარისხოვანი, გამოცდილი ნახევარმცველები ბერიკაშვილი, გაგუა, ჯორბენაძე, ჭეიანი, თვალსაზრისით შუამარბებად კი განსაკუთრებით თამაშობდნენ დოლობერიძე, პანიკაძე, ბერიკაშვილი. ამიტომ მე ისევ გუნდის ინტერესებისთვის ნახევარმცველად მომიწია. მაგრამ, სიმართლე რომ გითხრა, ვერ ვხედავ დიდ განსხვავებას ჩემს ამ ორ ამოღულში. შუამარბს მაშინ პერსონალურად სდარჯობდა მთავარი ნახევარმცველი და ამის გამო იგი, ასე ვთქვათ, „სპეციალურად იტვირთება“ იყო. ნახევარმცველს ასეთი მეურვეობა არა ჰქონდა და ამიტომ მისი ყოველი რეიდი მომრიდებოდა კარისკენ მოულოდნელ ხასიათს ატარებდა. მუდამ ვცდილობდი გამოემენება სასაინსო დრო და შესაძლებლობა თამაშის მსვლელობის შესაბამისად, მონაწილეობა მიმეღო მომრიდებოდა კარის იერიშში და გამეტანა გოლი. მართალია, თვით მე, როგორც ნახევარმცველს, უნდა მიყარულია მოწინააღმდეგე ინსაიდისთვის, მაგრამ იერიშის შესაძლებლობა 90 წუთის განმავლობაში ყოველთვის იყო.

რას იტყვით ძვირ და ახალ ნახევარმცველებზე, ახლანდელ სინტეტებში მათი როლი როგორია ხოც ხაჯრძნობლად გაიზარდა?

— ორ ნახევარმცველს უწინ ძალიან უჭირდა მინდორის ცენტრში არსებული დიდი ტერიტორიის „შეგება“. გარდა იმისა, რამ გებარა მოწინააღმდეგეთა თავდასხმელი, უნდა მიგვეწო ყველგან, და გემუშავა ქანცის გაცლამდე, რომ მკაცრი კონტროლის ქვეშ აგვეყვანა მინდორის შუაგული. ასლა ამ ზონაში, როგორც წესი, თითოეული გუნდიდან 3 ან 4 ნახევარმცველი იბრძვის. მათ მუდამ აქვთ შესაძლებლობა მეურვედნენ თავიანთი ფორვარდების იერიშის იხე, რომ ზონა ცარიელი არ დარჩეს. ეს უბრალო ართიმეტის ამბავია: ერთი და იგივე ტერიტორიას უწინ ორი კაცი ემსახურებოდა, ასლა კი ოთხი. ამიტომ მათ უშიშრად შეუძლიათ განასოტციელონ სხვადასხვა სახის საიერიშო ჩანაფიქრი. ჩვენ ასლა ვერ გადავწყვიტეთ ამ პრობლემა — ძველი სკოლა და თუ ახალი, მაგრამ ნახევარმცველთა ადრინდელ თამაშს დიდად ამშვენებდა ვრცელი სამოქმედო ტერიტორია, თამაშის გაგრძელების ათსგვარი ვა-

მეგობრული უარში



ბ. ანთაძე, გ. ფირცხალავას ნახატია.

რანტი. ერთი ხიტყვა, მაშინ მოქმედების დაიპრონო მეტი გვექონდა და თავის დამოჩენის საშუალება.

ვინ უფრო დაგამახსოვრდათ თქვენი უშუალო მეტოქეებიდან?

— ძალიან მოხატული ვიყავი, რომ როგორც თანაკლუბებს, არ მიწვედა დოლობერიძის წინააღმდეგ ბრძოლა. ძალიან ძნელი იყო თამაში ბესკოვთან, ნაკოლაევთან, ნ. დემეტრეიძესთან, მარიტინთან. არ დამავიწყებია 1952 წლის ამხანაგური საერთაშორისო მატჩი უნგრეთის დიდ გუნდთან. მასსოვს,

გათამაშების ცხრილი I ჯგუფი

Table with columns for team names, goals, and points. Includes teams like 'მეტალურგი' and 'ლოკომოტივი'.

სპეციალურად დაგვიწარით უნგრელთა საწვრთნელ გარჯიშს. ყველა კარგად იცნობდა, რომ უნგრელთა წამყვანი მოთამაშე პუშკაში იყო, მაგრამ ის, რაც ამ გარჯიშზე ვნახეთ, პირდაპირ გასაოცარი ვახლავდა. უნგრელებს, წარმოუდგენლად ძნელ ტექნიკურ ილეთებს პუშკაში ასრულებდა ისე, თითქმის ეს ბურთის უბრალო მიღებაც დაწინაურებდა იყო. თავს იმით ვინერგებდით, რომ პუშკაში მარცხენა შუამარბს თამაშობდა, მე კი, როგორც სსრ კავშირის ნაკრების მარცხენა ნახევარმცველს, მათს უშუალო „ურთიერთობანი“ არ უნდა მქონოდა. მაგრამ გათავდა უნგრელთა გარჯიში და ჩვენი გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ბ. არკადიევიჩი იქვე, ტრიბუნაზე მითხრა — პუშკაში უნდა ეთამაშოთ. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა. მაგრამ ეს მატჩი შედეგად მე ვეძლოდი გავაღწეოდი მინდორიდან. ურთოდ არ მითამაშა.

რას იტყვით თბილისის „დინამოს“ დღევანდელ შემადგენლობაზე და კერძოდ — ნახევარმცველებზე?

— თბილისის „დინამოს“ მოთამაშეები უშუალოდ მაღალი ტექნიკით გამოირჩევიან, თანამედროვე ფეხბურთში კი ტექნიკის უბირველესი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ... საჭმე სწორედ ამ „მაგრამშია“. ჩვენს ფეხბურთელებს აკლიათ სპორტული ბრძოლის ტონი, მიზანსწრაფობა. მთლიანად უნდა ბრძოლას უსწარიანობა. შეიძლება ითქვას, რომ მეერი-მათიანი მინდორზე იძლევა თავის შესაძლებლობათა მხოლოდ 70 პროცენტს. ეს მაშინ, როცა ჩვენი მეტოქეები მინდორზე, ასე ვთქვათ, 100 პროცენტით თამაშობენ და სოჯარ თავიანთი შესაძლებლობაზე მეტსაც აკეთებენ. ამას გარდა, იშვიათად, რომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა ერთდროულად თამაშში სრული მონაწილეობა მიიღეს. ნაწილი ცდილობს, თავს არ ზოგავს, სხვები კი ამ დროს „ჩრდილში“ არიან და მხარს არ უბამენ მათ. თქვენ გაისხენეთ მოსკოვის გუნდების თამაში. გაჩერებულს და „მოსვენებულს“ ვერავის ნახავთ: ყველა თავს აკლავს ბრძოლას. ასეთივე თამაში ისწავლეს ბაქოსა და ერევნის გუნდებმა. ჩვენ კი ვერ ვერ მივიღეთ ამ დონეზე. გუნდში რაღაც უცნაური „ნორიეობაა“ და ვსჯებულთ: დღეს სრული დატვირთვით თამაშობენ ერთნი, ხვალ — მეორენი და ამის გამო, რომ თბილისის „დინამოს“ თავისი მაქსიმალური, ნამდვილი სიძლიერით იშვიათად თუ გამოდის. როცა ეს ხდება, მის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია.

შემონათქვამი, უბირველეს ყოვლისა, ესება ნახევარმცველებს. ავიღოთ, თუ ნდვ, ასათიანი და კუტივაძე. ჩემი პირველხარისხოვანი ფეხბურთელები არიან, რომლებმაც გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვენ თბილისის „დინამოს“ წარმატებაში, მაგრამ თვითონვე სუდად, რომ ეს მუდამ ასე არ ხდება. ზოგიერთ მატჩში ასათიანს და კუტივაძეს პირდაპირ ვერ იცნობთ. ვთქვათ, ისინი შეტევაზე არიან და ამ დროს დაიკარგა ბურთი. მათი უკან დაბრუნება ისეთი დავგანინებით ხდება, რომ საკუთარ საჯარიმო მიოგანსე მომსხდარ ამბებს ისინი გეღარ უსწრებენ, ამას გარდა, არც ასათიანი და კუტივაძე იბრძვიან დაკარგული ბურთის უკან დასაბრუნებლად. თანამედროვე ფეხბურთში დაკარგული ბურთისთვის ბრძოლა ფორვარდებსაც ევალებათ, ნახევარმცველებზე ხომ ლაპარაკე შედამეტა. ასათიანი და კუტივაძე საშუალო კლასის ფეხბურთელები რომ იყვნენ, ასეთ მკაცრ მოთხოვნებს მათ არ ვაუწყებდით, მაგრამ ხომ ვაგვირინათ — დაი სომალდს დიდი ცურვა მოეთხოვებათ. პირადად მე არასოდეს მქონია იმისი „ფუტუზება“, რომ არ მებრძოლა დაკარგული ბურთისთვის და შოორიდან მეტყარი ჩვენი კარისკენ გაჭრილი მეტოქისთვის.

რას უსურვებდით ჩვენს ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს?

— გულშემატკივრები ხშირად აფედრიან თბილისის „დინამოს“, რომ იგი არასრული ძალით თამაშობს. ყოფილიყოს პირიქით: თბილისის დინამოელებმა ითამაშონ ისე, რომ გულშემატკივრები მათ ჩამორჩნენ „საკუთო კლასში“. რა უნდა ვისურვო? 1964 წლის წარმატება, თასის მოგება და გამარჯვებები ვერთოულ საკლუბო ტურნირებში.

უნივერსალი

ჩემო ჩემო

ბიანად წარმოება, პოლუგაეცემი თავი საფრთხეში ჩაიდლო. იგი მოუხრებლად, ახარტულად თამაშობდა და, რა თქმა უნდა, მიღე უბაიოლად დარჩა, მაგრამ ამ დროს მეტოქე დაეხმარა: ყაიმი შესთავაზა. რასაკვირველია, პოლუგაეცემი წინადადება კმაყოფილებით მიიღო.

სსრ კავშირ — რუმინეთის გუნდების მატჩის ანგარიში ჯერჯერობით საყაიმოა — 1,5:1,5. სპასკის გადამდებული პარტია გუნდს კიდევ ერთ გამარჯვებას მოუტანს.

ანგარიში საყაიმოა შემდეგ მატჩებშიც: აშშ — იუგოსლავია 1:1 (2 პარტია გადამდო. მწვავე პოზი-

ცია შეიქმნა ფიშერ — გლიგორჩის შეხვედრაში, გლიგორჩის პარტია (1), ბულგარეთი — ჩეხოსლოვაკია 1,5:1,5 (1) და ჩეხოსლოვაკია — უნგრეთი 0,5:0,5 (ეს ყაიმი გაკეთდა პორტ-პორტის შეხვედრაში, 3 პარტია გადამდებულია). კანადის გუნდი უგებს (2,5:0,5) ესპანეთის ნაკრებს.

8 ტურის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრებს 19 ქულა და 1 გადამდებული პარტია აქვს, იუგოსლავიას და აშშ-ს — 17,5-17,5 (2-2), უნგრეთს — 17 (3), არგენტინას — 16,5 (1), ჩეხოსლოვაკიას — 16 (3).



ზიგენი, 22 სექტემბერი. დღეს დილით "ზიგენლანდპალეს" დარბაზში, სადაც XIX საუკუნის ოლიმპიადის მიმდინარეობს, შედგა გავლადებული პარტიების დამთავრება. საბჭოთა დიდოსტატებმა პეტროსიანმა და კორჩინომ მოუგეს თავიანთი დაუმთავრებელი პარტიები გდრ-ის წარმომადგენლებს პ. ლიბერტსა და ა. ჰენინგს და სსრ კავშირის გუნდს 17,5 ქულით დააწინაურეს.

VIII ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვედრენ რუმინეთის გუნდს,

რომელსაც ახალგაზრდა დიდოსტატი გეორგიუ თავაციცობს. გეორგიუს სპასკისთან მოუწია თამაში. შეხვედრა მთელ საღამოს გაგრძელდა. პარტია გადამდო: სპასკის ორი ზედმეტი პაიკი და მოსაგები პოზიცია აქვს. რუმინელი მოჭადრაკე ალბათ თამაშის განუახლებლად დანებდება.

საბჭოთა გუნდის დანარჩენმა წევრებმა — კორჩინომ, პოლუგაეცემი და სმისლოვმა შეხვედრები ყაიმიტ დამთავრეს. თუ კორჩინოსა და სმისლოვის პარტიები მშვიდო-

გადაწყვეტილებები, გადაწყვეტილებები...

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის 41-ე კონგრესზე

სამშინ ვითარებაში მიმდინარის მუშაობა ზიგენში XIX საუკუნის ოლიმპიადის პარალელურად. ცენტრალურმა კომიტეტმა და სპეციალური კომიტეტმა ძირითადად დამთავრეს საკითხების განხილვა, გენერალურ ასამბლეას მოუწადინა გადაწყვეტილებები და უფრო ნაწილობრივ გააცნეს ისინი. ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა ვაჟთა მსოფლიო პირველობის მიმდინარე ციკლის შეჭიბრებათა განრიგი.

ქვეყნის, სულ ცოტა, ერთი წლის მოქალაქენი არიან. ცალკე მხარეების საგანი იყო საზონათშორისო ტურნირში ფიშერის დაშვების საკითხი, კონგრესმენები საზონათშორისო ტურნირის მონაწილეთა რიცხვის (24 კაცი) გაზრდის წინადადებას იყვევნ. ამიტომ ისინი თანახმა არიან ფიშერი შეჭიბრებაში დაუშვან ამერიკისთვის განკუთვნილი ადგილების (სამი) ხარჯზე, თუ, რა თქმა უნდა, აშშ-ს ფედერაცია ამ წინადადებას მიიღებს.

როგორც ცნობილია, საზონათშორისო ტურნირი დეკემბერში გაიმართება პალმა დე მალიორკაში (ესპანეთი). პრეტენდენტთა მატჩები გაისად შედგება: მეოთხედფინალური მატჩები ჩატარდება მადრიდში, ნახევარფინალები — ივილიში, ხალხი ფინალი — სექტემბერში. ფიშერ მხოლოდ პრეტენდენტთა ფინალის გამორკვევის შემდეგ გადაწყვეტს, სად ჩატარდება მატჩები. მასპინძლობის სურვილი გამოთქვას სსრ კავშირმა, ამერიკამ შეერთებულმა შტატებმა, იუგოსლავიამ, ესპანეთმა და დანიამ.

დღი ინტერესი გამოიწვია სპეციალური კომიტეტის ცნობამ, რომ უმაღლესი სპორტული თანრიგი მიენიჭა 28 მოჭადრაკეს, რომელთაგან 22 სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელია.

საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭათ ბ. გურგენიძეს, ჰაბუტებს შორის მსოფლიო ჩემპიონს, 19 წლის ა. კარპოვს (ორივე — სსრ კავშირი) და უ. ბარუნს (ავსტრალია). პირველმა ეს წოდება მიიღო ვ. გოგლიძის წლევიანდელ მემორიალში, მეორემ — კარპოვის (ვენესუელა, 1970 წ.), ხოლო მე-სამემ — სან-ხოსეს (1969 წ.) საერთაშორისო ტურნირებში სათანადო სპეციალური მოთხოვნათა შესრულებისთვის.

ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო და პრეტენდენტთა ტურნირის მასპინძლობა ფიშერს შესთავაზეს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ჰადრაკის ფედერაციებმა. კონგრესმენები შეთანხმდნენ, რომ შეჭიბრების ჩატარების ადგილი და დრო მხოლოდ მაშინ დასახელდონ, როცა მონაწილეთა შემადგენლობა ცნობილი იქნება.

საერთაშორისო ოსტატის წოდება მიიღო 25 ოსტატმა. მათ შორის არიან საბჭოთა მოჭადრაკეებიც: თბილისელი რ. ჭინჩიბაშვილი, მოსკოველები — დედაქალაქის ჩემპიონები ნ. კონობლიოვი და ბ. ბლაშოვი, ო. მოისევიჩი, ი. ზაიცევი, ნ. მედიანიოვი და ე. რუბცოვი, ოდესელი ვ. ტუქაჩოვი.

ქაბუტა მსოფლიო ჩემპიონატის გამართვა გადაწყდა კუბაში (1971 წლის აგვისტო).

მიღებულია გადაწყვეტილებები გუნდური პირველობების თაობაზეც. სტუდენტ მოჭადრაკეთა გუნდური პირველობა ჩატარდება 1971 წელს პუერტო-რიკოში, 1972 წელს — შვეიცარიაში.

საერთაშორისო პრიზიტრის წოდება მიენიჭა მოსკოველ ე. ნუსს.

ფიშერს ახალი წევრებით, ესენი არიან ცელიონი, მექსიკა, უელსი, როდენია და ფარერის კუნძულები.

გადაწყდა ფიშერს მომდევნო კონგრესები ჩატარდეს ვანკუვერსა (1971 წ.) და ფინეთში (1973 წ.). 1972 წლის კონგრესის გამართვის ადგილი ჯერ დაუდგინებია. იგი იმ ქვეყანაში შედგება, სადაც XX საუკუნის ოლიმპიადის უმასპინძლებენ.

საერთაშორისო პრიზიტრის წოდება მიენიჭა მოსკოველ ე. ნუსს.

ფიშერს ახალი წევრებით, ესენი არიან ცელიონი, მექსიკა, უელსი, როდენია და ფარერის კუნძულები.



ქართული დიდოსტატი

ქართული ჰადრაკის მატჩებში ასალი ბრწყინვალე ფორტელი ჩაიწერა: გეგავს პირველი ქართველი საერთაშორისო დიდოსტატი — ბუსუტი გურგენიძე. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს ჩვენი საჭადრაკო სელოვნების მიღიარ წარსულზე და აწმყუსზე.

ბედნიერია ის ადამიანი, რომელმაც იცის თავისი მოწოდება, შრომობს და შრომა უფასოდება. ასეთი ადამიანია ბუსუტი გურგენიძე. მას თავდავიწყებით უყვარს ჰადრაკი, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება დაუკავშირა. იყო დიდი სიხარულიც, იმელების გაცრუების დღეებიც, მაგრამ ბუსუტის არც ერთხელ არ უღალატია თავისი მოწოდებისთვის.

შეხვედრაში და მოგტყუედი: ასალბედა პირველთაშორისანმა გაანადგურა ჩემი მეფე.

ბ. გურგენიძე ღრმად მოაზროვნე, თვითმყოფადი ნიჭის მოჭადრაკეა. შინა ყოველი პარტია შემოქმედებითი ძიებით სუნთქავს.

1955 წელს ბუსუტის რიგაში ვასლად სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალში, სადაც მან სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა. სწორედ იქ მოუწია დიდოსტატებთან პირველი პაექრობა. მართალია, იგი მაშინ ფინალში ვერ მოხვდა, მაგრამ ისე პერსპექტიულად ითამაშა, რომ მისი ნიჭი ყველამ ცხადად დაინახა. ეს სრული ქემპარტიტება რეალობად უნდა გადაეცემა სსრ კავშირის 1958 წლის ჩემპიონატში, სადაც 24 წლის გურგენიძემ სძლია ბ. სპასკის, მ. ტაიმანოვს, ა. ტოლუმს, ყაიმიტ დამთავრა შეხვედრები ტ. პეტროსიანთან, დ. ბრონშტეინთან, ი. პოლუგაეცისთან, ე. გელგორთან, ი. ბოლესლავსკისთან, ა. კოტოვთან და სხვებთან. მხოლოდ ბედის უკუღმართობის გამო ბუსუტი დიდოსტატი ვერ გახდა. სხვა მის ადგილას ალბათ სასოწარკვეთილებას მიეცემოდა, ბუსუტი კი კვლავ შეუპოვრად განაგრძობდა მიზნისთვის ბრძოლას.

1966 წელს I-IV ადგილები გაიყო, კისლოვსკში 1968 წელს — II-III, თბილისში 1969-70 წელს — I-II, ცხრაჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი, ვინაშე 1968 წელს ე. ჯარსულაძის მემორიალში II-III ადგილები გაიყო და ა. შ.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ გურგენიძის თვალსაჩინო წარმატება სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადში, სადაც მან მოჭადრაკეთა გუნდის შეჯიბრებაში პირველ დაფაზე II ადგილი დაიკავა (პირველი იყო სპასკი), გაუსწრო მ. ბოტვინიკს, მ. ტალს, ე. გელგორს და სხვ.

ბ. გურგენიძის მოღვაწეობა მხოლოდ პრაქტიკული გამოცდებით როდი ამოიწურება. თავისი მდიდარი გამოცდილებითა და ცოდნით იგი ბევრჯერ დახმარებია ქართველ მოჭადრაკეებს. 1966 წლიდან ბუსუტი წერის ნ. ალექსანდრიას. მათმა შემოქმედებებმა ურთიერთობამ, შევირდის ნიჭიერებამ უდღესი მიღწევები განაპირობა: ნანა ალექსანდრია სამჯერ დაფუთა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალს. რა თქმა უნდა, შრომის-მოყვარე მწვრთნელს დაუფასდა ამაგი: მას ჯერ საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა, მერე — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელისა.

მასსოფს, თბილისის 1949 წლის პირველობაში მონაწილე, გამხდარი, პირტიტველა და მოკრძალებული ბუსუტი. მას სიამოვნებდა, რომ თამაშს უქმედებდა, ოდნობდა კარგი მოჭადრაკე ყოფილიყო (სხვათა შორის, არა ნაკლებ უხაროდა, რომ ასევე კარგად მღეროდა ნეაპოლიტანურ რომანსებს, რა თქმა უნდა, ახლობელთა წრეში). უკვე მაშინ შეიმჩნეოდა, რომ ყმაწვილს ფაქიზი გემოვნება ჰქონდა. ბუსუტი შეუპოვარი მებრძოლიც აღმოჩნდა. ვინც მის გამოუცდლობას ჩვენს

ქართველი ოსტატი ბევრს თამაშობს. თავდაუზოგავად იბრძვის ყოველ შეხვედრაში, არც საკუთარ თავს და არც მეტოქეს შეღავათს არ აძლევს. რაც მთავარია, გურგენიძე მეტოქეებს ანიცეფრებს ახალ იდეათა სიუხვით თითქმის უკვე გადამდებული სადებიუტო სისტემებში. შემოქმედებითი ძიება, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ მაინც ხელს უშლის ბუსუტის მაღალი სპორტული მაჩვენებლების მოპოვებაში. მაგრამ ის, რაც მოპოვებული ჰქონდა, ყველა დიდი მოჭადრაკის ბიოგრაფიას დაამწვინებდა. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: ბუსუტიმ რვაჯერ ითამაშა სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში (ქართველებიდან მხოლოდ ვ. გოგლიძეს უთამაშია ამ შეჯიბრებაში, ისიც სამჯერ), ოთხჯერ — სტუდენტ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაში (ორჯერ ოქროს მედალი დაბრუნდა შინ), ხუთჯერ — საერთაშორისო ტურნირში: სოფიაში 1958 წელს I-III ადგილები გაიყო, თბილისში 1965 წელს I ადგილი დაიკავა, ბათუმში

ბ. გურგენიძე 36 წლისაა. იგი, როგორც იტყვიან, შემოქმედებითი აყვავების პერიოდშია. გურგენიძემ ჰადრაკში უმაღლეს წოდებას მიადგინა (მას უშლის ბუსუტი, რომელიც სსრ კავშირის დიდოსტატის წოდება). ახლა ალბათ იგი მეტი გატაცებით, ხალისითა და მიზანდასახულად ითამაშებს. გვჯერა, რომ პირველი ქართველი საერთაშორისო დიდოსტატი კიდევ ბევრჯერ მოგვეგვრის სიამაყის გრძობას.

თ. ბიორგაძე.

ს უ რ ა თ ე : ბუსუტი გურგენიძე და ნანა ალექსანდრია გორში, ი. სტალინის სახელობის მოღალანზე 1969 წლის საშვიდნოებზრო დემონსტრაციის შემდეგ. აქვე არიან ბუსუტის შვილები მალხაზი და ნანა.

მ. ზარგარიანის ფოტო.

რედაქტორი მ. კაბაბაძე.



აღიარება

რომან ჭინჩიბაშვილი თბილისის ბიონერთა და მოსწავლეთა სასახლისა და გამორჩენილი ქართველი მწვრთნელის ვ. ჯარსულაძის ერთ-ერთი ნიჭიერი მოწაფეა. იგი ნერვიული, შემტევი სტილის, საღად მოაზროვნე და საკმაოდ ვრუდირებული ოსტატია. ერთი, რაც შეიძლება ვუსაყვედუროთ რომანს, ისაა, რომ ჩქარობს ბრძოლას კრიტიკულ მომენტში და განსაცდელის შაშხ შეუპოვრობას ვერ იჩენს.

თბილისელი მოჭადრაკე სულ ათი-ოდე წელია, რაც სარბიულზე გამოჩნდა და შესამჩნევი წარმატებებიც მოიპოვა. იგი ოთხჯერ (1966, 1967, 1969, 1970 წლებში) იყო საქართველოს ჩემპიონი, ერთხელ — სტუდენტ-მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონი (გუნდურ ჩათვლაში), ერთხელაც — თბილისის ვაჟთა I საკავშირო ტურნირის მეორე